

ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული.

№ 10.


# როგორც ცხოვრობენ ჩინელები?

ი. ცისკარაშვილის-მიერ.

„ჩვენ უნდა ვუბოთ ჩვენი მყობადი,  
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!..“  
ი. ჭავჭავაძე.

„ყოველი წუთი თავისუფალი დროსი  
იღამიანმა სწავლას უნდა მოახზაროს!..“  
კონფუცი.

თფილისი  
სტამბა ეჭეთაძე ივ. ხელაძისა.  
1896



ივანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული.

№ 10.

# როგორ ცხოვრობენ

## ჩინელები?

37155

ი. ცისკარაშვილის-მეიერ.

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,  
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!..“  
ი. ჭავჭავაძე.

„ყოველი წუთი თავისუფალი დროსი  
ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს!..“  
კონფუცი.



თბილისი

საჭაძის ეკთიმე ივ. სულაძისა.

1896

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 апрѣля 1896 года.

## ჩ ი ნ ე თ ი .

### I.

ჩვენი საქართველოდამ აღმოსავლეთის მხარეს, ესე ოთხი ანუ ხუთი ათასი ვერსის სიშორეზე, ძვეს უდიდესი სახელმწიფო—ჩინეთი. ჩინეთი არის დიდი არა მარტო ადგილის სივრცით, არამედ მცხოვრებთა რიცხვითაც: მასში ითვლება ოთხასი მილიონი მცხოვრები და პირველი ადგილი უჭირავს ამ მხრით მთელი დედამიწის ზურგზედ. აღმოსავლეთით ჩინეთს საზღვრავს დიდი ზღვაჲ (ოკეანე), დასავლეთით მონგოლეთის უდაბნოები, სამხრეთით—ინდოეთი და ჩრდილოეთით—ციმბირი. ჩინელები თავის სამშობლოს „ცაუჩს სახელმწიფოს“ უწოდებენ და სწორედ რომ შეესაბამება კიდევ ეს სახელწოდება ამ ქვეყანას, თუ მივიღებთ მხედველობაში ჩინელების მშვიდობიან შრომის-მოყვარეობას. ჩინეთი შეკეტილია თავის კარმიდამოში და დიდის ზიზღით უყურებს ყოველ-გვარ ომს და ჩხუბს. არა ფიქრობს მეზობელი ხალხების ომით შეწუხებას და მათ დამორჩილებას; პირიქით, სცდილობს, რომ ყველა მეზობლებთან მშვიდობიანი განწყობილება იქონიოს. აი რას ამბობს ჩინელი ომის შესახებ: „თუ ჯდამიანი ამბობს, რომ კაჩგი მეამაჩი ვაჩო, იცოდეთ, რომ ის დიდი ჯაჲსაჲ და ყაჩაღაჲ!“

ამ მშვიდი და უხარმაზარი სახელმწიფოს ხალხი გარეგანი შეხედულობითაც ძრიელ განირჩევა სხვა ხალხებისაგან: ჩინელი უშუატანისაა, სახის კანი მოშავო და მოყვითალო აქვს, თვალე-ბი წვრილი და მეტ წილად აღმაცერი (მრუდი). კაცები თავს იპარსვენ და მხოლოდ ქოჩორზე ინარჩუნებენ ერთ მუჭა თმას, რომელიც მუდამ დაწნული აქვთ. ჩინელს ტანსაცმელიც თავისებური აქვს: მდიდარი და გამოჩენილი ჩინელი იცოამს ფერადს



მალაი წოდების ჩინელი.



მალაი წოდების ჩინელი ქალი.

ხალათს, ხოლო მის ქვეშ—გრძელი არხალუჯის მაგვარს. სახლში თავზე იარახჩინს ატარებენ; გარეთ-კი, მოკლე სამოსით და თავზე ჩალის დიდ-ნაპირებიანი და ფარშუფანჯის ფრთებით შემკული ქუდით გამოდიან. ამ გვარად მორთული ჩინელი დედა-კაცს უფრო წააგავს. ჩინელი ფეხსაცმელად ხმარობს შავი ატლასის წულებს, რომელსაც სქელი და თეთრი ტყავის ძირი აქვს. ჩინელის აუცილებელს სამკაულს შეადგენს მარაო და ქოლგა. მდაბიო ჩინელის ტანსაცმელს შეადგენს თეთრი პერანგი, შალვარი და დიდი ჩალის ქუდი. ჩინელი დედა-კაცების ტანისამოსი მომეტებულ წილად ჭრელი, თვალ-მახარა ფარჩეულია. თმას დედა-კაცები სუფთად ივარცხნიან და ნაწნავებს ოქროს და ვერცხლის ქინძისთავეებით იმაგრებენ. ქოლგა და მარაო ჩინელი ქალის აუცილებელს სამკაულს შეადგენს. ჩინელები დღემდის თავიანთ წინაპრთა ჩვეულებას მისდევენ და ახალს ანუ სხვის ჩვეულებას დიდად ერიდებიან. ჩინეთის მდაბიო ხალხი აქამდისინ ისევ კერპთ-მსახურებას მისდევს; უფრო განათლებულნი-კი ბრძენი კონფუციუსის სწავლას მისდევენ და თაყვანს სცემენ გარდაცვალებულთა სულის. უმთავრეს ღმერთად ჩინელებს ცა მიაჩნიათ.

თუმცა ზემოდ აღნიშნული ჩინელის გარეგნობა და სარწმუნოება მაგრე რიგად არათრად შესანიშნავი და ღირს-სახსლოვარია, მაგრამ მათი წყნარი ცხოვრება და შრომის-მოყვარეობა-კი დიან რომ ბევრს რასმე ღირს-შესანიშნავს წარმოადგენს და ამიტომ უმნიშვნელოდ არ მიგვაჩნია ამ შორეული ხალხის ცხოვრება და წეს-წყობილება გავაცნოთ პატივცემულს მკითხველებს.

მართალია, არა ერთი და ორი წიგნი დაბეჭდილა ჩინეთის ხალხის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების შესახებ, მაგრამ დღევანდელი ჩვენი წერილისათვის საჭირო ცნობების ამოკრეფა ვამჯობინეთ ფრანგი სიმონის წიგნიდამ. სიმონი ჩინეთში დიდს ხანს სცხოვრობდა და მეტად კარგად გვაუწყებს, თუ ჩი-

ნელების ცხოვრებაში რა შენიშნა მან ღირს-შესანიშნავი და საგულის-ხმიერო.

მაგრამ, ვიდრე ჩინელების ცხოვრების აღწერას შევეუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს, თუ რა საფუძველზეა ჩინელთა ცხოვრება დამყარებული. ჩინელების თქმით, ხალხი მამა წისკვან არის გაჩენილი, ამიტომ არ არის არც ერთი ადამიანი, რომელსაც გულში არა ჰქონდეს ჩანერგილი სიყვარული, სათნოება, სამართლიანობა, თავაზიანობა და სიბრძნეო. თუმცა ეს ასეა, ამბობენ ჩინელები, მაგრამ ძრიელ იშვიათია, რომ ადამიანმა შესძლოს ამ ბუნებითი სიკეთის ჯეროვანად აღზრდაო.—ხოლო, ვინც შესძლებს და ბუნებრივს სიბრძნე-სათნოებას გაფურჩქვნის, იგი სამაგალითო იქნება სხვებისათვისო. ეს სამაგალითო პირი თანდათან ნათელს უახლოვდება, იმისი ყოველ-მხრივი სისრულე ძლიერდება და კაცი გონივრულს ცხოვრებას იძენს. ის თავისი მაგალითით თავის სუსტ თანა-მოძმეთ ეხმარება და კაცობრიობას ხელს უწყობს, რომ მან ბუნებრივი სისპეტაკე შეინარჩუნოს. მაგრამ, სჯობს ყური დავეუგდოთ, თუ როგორ დარიგებას აძლევს თავის ხალხს ჩინეთის გამოჩენილი ბრძენი მასწავლებელი კონფუცი<sup>1)</sup>:

„უდიდესი სწავლა ის არისო, ამბობს კონფუცი, რომელიც აღამაღლებს და აფართოვებს ციდამ მიღებულს მცნების დასაწყისს და მთლად გადაახალისებს ადამიანს“.

«უპირველესად ყოველისა უნდა იცოდე მიზანი ანუ დანიშნულება, რომელსაც მისდევ და მხოლოდ ამის შემდეგ ამო-

<sup>1)</sup> კონფუცი იყო უდიდესი ფილოსოფოსი და მასწავლებელი ჩინელებისა. დაიბადა 551 წელს და გარდაიცვალა 479 წელს ქრისტეს შობამდე, 72 წლისა. ცნობილია თავისი მშვენიერი და რეალური სწავლამოდღვრებით, რომლის გავრცელებას ხალხში მან მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა.

ირჩიო ცხოვრების გზა. ცხოვრებითი სიბრძნის შეგნება-კი, რომელიც შენს მიზანს და დანიშნულებას არ აგაცდენს, არის ცდამეცადინეობა. ცხოვრებითი მოქმედება შენს დანიშნულებას დაგანახვებს და ყოველ-გვარ სიკეთეს შეგძენს. ქვეყანაზედ უმიზეზოდ არა ხდება-რა და ამ მიზეზს თავისი შედეგიც მოსდევს. ადამიანის ყოველს საქმეს თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს. მიზეზის და მოქმედების გამოცნობით თვით დასაწყისს და დასასრულსაც ვსცნობთ და მაშასადამე ვუახლოვდებით იმ გონივრულს ცოდნას, რომლის შემწეობითაც მივალწევთ სისრულემდის.»



კონფუცი.

«უდიდესი მეფეები ისინი იყვნენ, რომლებიც სცდილობდნენ აელორძინებინათ თავის ხალხში ცილამ მინიჭებული ნათელის

და ჭეშმარიტების დასაწყისი. ამ მიზნით, ისინი უპირველესად სკდილობდნენ, ჯეროვანად განეგოთ თავისი ხალხი; ხოლო ამისათვის, ჯერ საკუთარს ოჯახში ამყარებდნენ სამაგალითო წესს. სკდილობდნენ—რა ოჯახის წესიერად მოწყობაზე, თანვე ზრუნავდნენ საკუთარი თავის გასწორებას. თავისი თავის გასწორების-თვის—კი აუცილებლად საჭიროა, რომ ადამიანმა თავის გულში სიმართლე აღადგინოს. ვინც სკდილობს თავის გულში სიმართლის აღდგენას, უეჭველად უნდა ეცადოს, რომ მისი სურვილები სპეტაკი და უხინჯო იყოს და ნათელი, გარკვეული შეხედულობა ჰქონდეს სიკეთე-ბოროტებაზე. რაკი ადამიანი ამას მიაღწევს, მაშინ ხომ ძლიერ ადვილ-შესაგნებია ყოველი მოქმედების დასაწყისიც და შედეგიც».

«როცა შეიგნებ მოქმედების მიზეზს, მაშინ სიკეთე-ბოროტებაზე მსჯელობა სისრულეს მიაღწევს და თვით სურვილებიც სპეტაკდება; სპეტაკი სურვილების შემწეობით—კი გული მართლ-მოყვარეობით ივსება და ადამიანი მთლად სწორდება და უკეთესდება. ამ გვარი ადამიანის ოჯახში და ოჯახთან ერთად მთელს ერში ჯეროვანი მყუდროება და წეს-რიგი მყარდება. ხოლო, თუ ერთა-შორის წესიერება ჩამოვარდება, მაშინ მთელი კაცობრიობაც მშვიდობიანად და თანხმობით იწყებს ცხოვრებას».

«მეფიდამ დაწყებული თვით უკანასკნელს გლენხამდე ყველას ერთი მოვალეობა აწევს კისერზე: თავისი თავის გასწორება და გაუკეთესება, ანუ, ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ, თავის-თავის სისწულე. ეს არის ქვაკუთხედი იმ შენობისა, რომელსაც კაცობრიობის სისრულე ჰქვია».

«ყოვლად შეუძლებელია შენობა რიგიანი იყოს, თუ—კი საძირკველი დაზიანებულია. უპირველესი და უსაჭიროესი საგნის დავიწყებას და წვრილმანის ჩხირკედელაობას უნდა ერიდოს ადამიანი»!..

რაკი, მკითხველო, ჩინეთის გამოჩენილი მოძღვრის დე-

და აზრი და მოძღვრება გავიცანით, რომელზედაც უმეტეს შემთხვევაში დამყარებულია ჩინელების შინა და გარე ცხოვრება, ეხლა იმედია ფრანგი სიმონის ჩინელთა ცხოვრების აღწერილობა არ გაგაოცებს და უფრო გულმოდგინეთ გადაიკითხავ ამ პატარა წიგნაკს.

## II.

### ჩინელის ოჯახის გაცნობა.

ქალაქ ფუჩეუსი<sup>1)</sup> ოცი ვერსის მოშორებით, მდებარეობს სოფელი უანგ-მახი, რომელშიაც 700—800 კომლამდე მცხოვრებია. როგორც სოფელს, აგრეთვე მის ახლო-მახლო ადგილებს, მშვენიერი მხიარული მდებარობა აქვს და საცხოვრებლად მეტად კარგია. ზაფხულობით აქ უფრო გრილია, სანამ ქუფუჩეუსში და ამიტომ ერთი გაზაფხული ფრანგ სიმონს ამ სოფელში გაუტარებია.

სოფელს შუა ჩამოდის მდინარე ტაშუეასი. მდინარის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია ვაჭართა და ხელოსანთა, 100—150, სახლი. დანარჩენი მცხოვრებნი ერთმანეთის მოშორებითა, ბინებით, სცხოვრობენ, ე. ი., ყველა მეოჯახე გარშემორტყმულია თავისი სახნავ-სათესით, ბოსტნებით და ბაღებით. მდინარეზე მრავალი ხიდებია გაკეთებული, თუმცა პატარა ნაგებობათა საფასურად იგი.


სოფლის ირგვლივ გორაკები წვერამდე მოხსულ-შემუშავებულია და სოფლის მდინარიდამ გაყვანილი არხებით ირწყვება. წყლის არხები მდინარიდამ გაყვანილია გორაკების გვერდებზე რამდენიმე წყობად. პირველი წყობის არხებში წყალი მდინარიდამ ჩარხებით აჰყავთ. აქედამ წყალი ამ გვართვე აჰ-

---

<sup>1)</sup> ფუჩეუ ქალაქია აღმოსავლეთის ზღვარეთის კიდეზე, მდინარე სიგოს შესართავთან. ამ მდინარეზე აქ აგებულია ას კამარინი ხიდი.

ყავთ მეორე არხში, მეორილამ მესამეში, მესამილამ მეოთხეში და ამ გვარად ირწყვება მთების გვერდების მთელი მესამელი.

ამ არხებილამ მცხოვრებნი რწყავენ ბრინჯის მინდვრებს. რაკი ბრინჯი დამწიფდება, ჩარხებს აღარ ამუშაებენ, რადგან სხვა მცენარეთათვის საკმარისია ის წყალიც, რომელიც განგებ გაკეთებულს საგუბრებში იკრიფება წვიმის დროს და მთის წყაროებილამ. გორაკებზე სახნავეები კიბე-კიბე არის შემუშავებული; სულ ძირის სახნავეებში სთესენ ბრინჯს, მის ზემოდ ბამბას, შემდეგ დარგულია ფორთოხალი და ჩაის ბუჩქები. აქ მომეტებულ წილად მოჰყავთ ბრინჯი, ბამბა და ფორთოხალი. ამ მცენარეთა გარდა აქ სხვა ბევრი სასარგებლო ხეებიც არის.



ბამბუკი.

რი ლერწამი ბამბუკი. ბამბუკი ბევრ გვარია, ზოგი ჯაგსავით იზრდება და ზოგი ხესავით. ბამბუკი რკინასავით მაგარია და დიახ ბევრ გვარი სარგებლობა მოაქვს. მისით აშენებენ სახლების კედლებს, აკეთებენ ღობეებს, ლასტებს, ნავეებს, სახლის ავეჯს, ჭურჭელს, ქოლგებს, მარაოებს, თვით წმინდა ქალღმერთსაც-კი და სხვა. ამასთანავე მის ნორჩ ლეროებს ხალხი მწვანეილის მაგიერ ხმარობს.

შესანიშნავია აქ დიდ ფოთლებიანი, სიმაღლით ექვს-რვა არშინამდის, ერთგვარი ბზის ხე, რომლის ქერქილამ ჩინელები კანაფს აკეთებენ. აქვე იზრდება ერთი ხე, რომელიც შეხედულობით უშნო და მრუდე ღერო-ტოტებიანი და დაპრანჭულ ფოთლებიანია, მაგრამ ყოველ წლივ საშინლად ისხამს ერთ გვარ ნაყოფს, რომლილდამაც ჩინელები ხდიან ზეთსა. არის კიდევ ჩვენი ცაცხვის მაგვარი ხე, რომლის ნაყოფილდამ ქონს აკეთებენ. ლერწამთა შორის აქ მოდის ყველაზე სასარგებლო და მშვენიერი

ფრანგ სიმონს ამ სოფელში მისვლისათანავე გაუცვნია და დაჰმეგობრებია ერთ ჩინელს, უანგ-მინგ-ცეს. აი როგორ მოგვითხრობს სიმონი ამ გაცნობის ამბავს:

მარტის ბოლო რიცხვებში, ჩინელები ჩაის ბაღში მუშაობდნენ: მარგლიდნენ და თან პატივს აყრიდნენ. მე, შორი-ახლოს, ბზის ქვეშ ვიჯექი და მათ მუშაობას ვუყურებდი. ჩემს მახლობლად, ხის ძირთან, მუშების ტანისამოსი და ჩალით შემოწნული, ჩაის ნადულით სავსე თიხის ჭურჭელი იდგა. ამ ნადულს მუშები წყლის მაგივრათ სვამდნენ. ამ დროს მოვიდა უფროსი ჩინელი ამ ჭურჭელთან და, რომ დამინახა, მკითხა: „ბატონო, ხომ არა გწყურიათ?“—არა, მაღლობელი ვარ! ეს-ეს იყო წყურვილი ფორთოხალით მოვიკალ და პირის გემოს გაფუჭება არ მინდა,—ვუპასუხე მე.

რას ბრძანებთ, ბატონო! განა ჩაი ფორთოხლის გემოს გააფუჭებს? თუმცა ეს ჩაი კარგი არ არის, მაგრამ თქვენ სხვა ჩაის მოგართმევთ. აჰჶ, აჰჶ!.. დაუძახა ჩემმა მოსაუბრემ თავის ამხანაგს და უთხრა: „სახლში ჩაირბინე და ახალი მოკრეფილი ჩაი მოიტანე!! სახლი ახლოს იყო და აჰჶ მალე დაბრუნდა. ერთი ხელით სინზე ქაშანურის ფინჯნები მოჰქონდა, ხოლო მეორე ხელით—ქვაბი, ადუღებული წყლით. ამოიღო ჩინელმა პატარა ხის ყუთიდან ჩაი, ჩაყარა ყველა ფინჯნებში ცო-ცოტა, ზედ ადუღებული წყალი დაასხა და ლამბაქები დაათარა...

— თუმცა ჩაი ჯერ კიდევ არ გამხმარა, მაგრამ გემოთი უფრო გემრიელია,—მითხრა სტუმარ-მოყვარე ჩინელმა.

მართლაც, ჩაი მეტად მშვენიერი გამოდგა: მოწითანო ციავი ყვითელი ფერი ჰქონდა და გემოც მეტის-მეტად საამური და ნაზი.

— მართალი ვითხარით, თუ არა, ბატონო?—მკითხა ჩინელმა.

— სწორედ. ფორთოხალი რა სათქმელია ამ ჩაისთან შედარებით. ბევრი მოკრიფეთ ამ ჩაისა?—დავეკითხე მე.

— არა, ბატონო! ამ ჩაისა ბევრის მოკრეფა შეუძლებელია, რადგან იგი პირველად გამოტანილი ფოთლებისაა. მეუ-ზე <sup>1)</sup> ერთს გირვანქა ჩაის ძლივს მოვკრეთამთ ხოლმე.

— მაშ უთუოდ მეტად ძვირად ჰყიდით ამ ჩაის?

— არც თუ ძვირად იყიდება! ვაჭრები გირვანქაში ესე ორ მანეთ ნახევარს გვაძლევენ; სამაგიეროთ, ეს პირველი მოსავალი თათქმის რომ მუქთად მოგვდის, რადგან ამისი მოკრეფა, სრულიად ხელს არ უშლის მეორე მოსავალს, რომელიც უმთავრეს შემოსავალს გვაძლევს.

— პირველი მოკრეფილი ჩაი თქვენ უკვე გაჰყიდეთ?

— არა, ბატონო, გასასყიდად ჯერ მთლად არ არის მზად. რამდენიმე დღის შემდეგ იქნება მზად და ბაზარში გავიტანთ. ცოტას-კი, შინაც ვინახამთ ხოლმე, კარგი მეგობრების პატივსაცემად.

— რამდენიმე გირვანქას ვერ მომყიდით?

— დიდის სიამოვნებით. ამ დღეებში მოგართმევთ.

ასე და ამ გვარად დაიწყო ჩემი დაახლოვება და გაცნობა ჩინელთან. რამდენიმე დღის შემდეგ, მოვიდა ჩემთან ეს ახლად გაცნობილი ჩინელი და თან, ესე სამოცდა-ათი წლის, მოხუცი მოიყვანა. ორივენი გრძელი მოლურჯო ფერის ხალათით იყვნენ და ბეჭებზე იის ფერი აბრეშუმის წამოსასხმელი ესხათ. ორივეს წმინდა ჩალის ქუდები ეხურათ. სალამის მოცემის უმაღლესი ოთახში დავსხედით და ლაპარაკი დავიწყეთ. აღმოჩნდა, რომ მოხუცი ჩემი ნაცნობის, უანგ-მანგ-ცის, მამა იყო და ჩემ სანახავად მოჰყოლოდა შეილს. საუბარი იქიდან დავიწყეთ, რომ სტუმრებმა მკითხეს ჩემი მშობლების ჯან-მრთელობა და ამბავი.

---

<sup>1)</sup> მეუ არის ერთი მეშვიდედი ნაწილი დღიურისა.

ჩინელები დიდის პატივისცემით ეპყრობიან მშობლებს. წინაპარნი ხომ ჩინელებისთვის იგივე არიან, რაც ჩვენთვის წმინდანები. წინაპართ სულები, ჩინელების სარწმუნოების სწავლით, მარად სკოცხლობენ და თავის ჩამომავლობას შევლიან. მათი სიხარული ახარებთ და უბედურობის დროს მათთან ერთად სწუხან. სიხარულ-ბედნიერების დროს ჩინელები მადლობით იხსენიებენ თავიანთ წინაპრების სულს და უბედურობის დროს-კი შევლა-დახმარებას შესთხოვენ.

ყველა ჩინელმა იცის თავისი წინაპრების ისტორია და ამბავი. ამათ აქვთ განსაკუთრებული წიგნები, რომლებშიაც უწერიათ მთელი ისტორია გვარისა, დაწყებული ოჯახის პირველი დამაარსებლიდამ. ამავე წიგნში იწერება ყოველი კეთილი და ბოროტი საქმე გარდაცვლილი ოჯახის წევრისა. ამ წერილებით აფასებენ ჩინელები ადამიანს. უკეთუ ბოროტი საქმეები კეთილს აღემატება, მაშინ იმ პირთ საოჯახო წიგნიდამ ამოშლიან და ეს უსასტიკესი სასჯელია ჩინელისთვის. ამათი შეხედულებით წიგნიდამ ამოშლილი ოჯახის წევრის სული შორდება თავისი ნათესავების სულს და განმარტოვებული აქეთ-იქით ხეტიალობს დაუსრულებლად.

ჩინელთათვის ოჯახი ყველაფერს შეადგენს და ამ ოჯახის დიდ მნიშვნელობაზეა მთელი ჩინეთის ცხოვრება დამყარებული. სწორედ ამიტომ არის, რომ ვისაც-კი, მკვდარს, თუ ცოცხალს, ოჯახიდამ გასდევნიან, იგი დაწყევლილ-შეჩვენებულად ითვლება. ამაზე უდიდესი სასჯელი ჩინელებს სხვა არა სწამთ და, ამიტომ, ყველანი ოჯახობრივს თანხმობა-სიყვარულს სცდილობენ და დიდ პატივს სცემენ მშობლებს, ძმებს, დებს და ყველა ნათესავებს. თურმე ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ამათ ჯერ მშობლები მოიკითხეს ჩემი.

— მშობლები კარგა ხანია დამეხოცნენ, ბატონო უანგ!  
(ეს იყო სახელი მოხუცი მამისა), ვუპასუხე მე.

— ძლიერ გვებრალებით, ბატონო! უეჭველია მაგ მიზეზით დაგიტოვებიათ სამშობლო?

— სწორეთ რომ ამ მიზეზით! თქვენ როგორ-ღა ხართ? თქვენი მშობლები ისევ ცოცხლები არიან?

— მამა ჩემი სამი წელიწადია, რაც გარდაიცვალა და დედა-ჩემს-კი ჯერ თავი არ დაუნებებია ჩემთვის. იგი ეხლა ოთხმოც-და-თერთმეტი წლისაა და მადლობა ცას, რომ ჯერ კარგად არის.

დიდი ოჯახი გაქვთ?

მე ოთხი ქალი მყავს და სამი ვაჟი. სამი ქალი ჰოი-ზე (მანიშნა თავის შვილზე) უფროსია და მეოთხე ამაზე პატარა. ქალები გათხოვილები მყავს და ჩვენს ოჯახში არა სცხოვრობენ. უმცროსი ვაჟი ცოლიანია და ჩვენს მახლობლად სცხოვრობს ცალკე. ამ პოისაც ექვსი შვილი ჰყავს.

ჩინელთათვის დიდი ოჯახი ცის დიდი წყალობაა და ამიტომ ჩემს სტუმრებს ეს ბედნიერება მიულოცე.

მსახურმა საუზმე შემოგვიტანა. საუზმეზე ბევრი ვილაპარაკეთ ჩემს სამშობლოზე და იმ ქვეყნებზე, სადაც-კი როდისმე ვყოფილვარ. საუზმის შემდეგ გამომეთხოვნენ, მთხოვეს ხვალ ვწვევოდი მათ და წავიდნენ.

მეორე დღეს მივედი ჩემს ნაცნობებთან და მთელი ოჯახი გავიცან. დავაპირე დაჯდომა, მაგრამ მომაგონდა, რომ ჩინელთა ჩვეულებით უზრდელობაა ოჯახის უფროსის უთხოვნელად დაჯდომა და მე-კი ჯერ ოჯახის უფროსი არ მენახა.

— ბებია შენი სად არის, ვკითხე სახლის პატრონის შვილს! ავად ხომ არ არის? სრულიად კარგად არის, ცოტა-კი დაიგვიანა, მაგრამ აგერ მოდის. ამ დროს ოთახში მოხუცი შემოვიდა. მოხუცი წელში მოღუნულიყო; ერთს ხელში ჯოხი ეჭირა, მეორე ხელი უმცროსი შვილის მხარზე ედო და ისე მოდიოდა. მე წინ მივეგებე და უმდაბლესად თავი დავუკარ. მოხუცებისა-

გან დაღუნვა აღარ შეეძლო და სალამის მაგიერ ღიმილით შემომხედა. მოხუცს თეთრი თმები ყვავილებით ისე ჰქონდა აჭრელებული, როგორც მის შვილის-შვილს. მოხუცმა სალამისთვის მადლობა მითხრა და დასაჯდომად მიმიწვია. შემდეგ მივუბრუნდი მსახურს და ვუთხარ, რომ საჩუქრების ყუთი შემოეტანა. საჩუქრებმა ბავშვებსავეთ გაახარა ჩემი მასპინძლები. საჩუქართა შორის ჩვენი ქალაქების სურათებიც იყო. ჩემს ნაცნობებს ძრიელ გაეხარდათ, და ვერას გზით ვერ წარმოედგინათ, თუ ისე ვიწროთ როგორა ვცხოვრობთ, რომ ერთი ერთმანეთზე ვაშენებთ სახლებს და ისე მალლა ავდივართ საცხოვრებლად. ლაპარაკის დროს უცებ გაიღო ოთახის კარები და ახალგაზდა ოჯახის წევრებმა შემოიტანეს მრავალ-გვარი საჭმელებით სავსე ტაბლა. მე ახალი პურ-ნაჭამი ვიყავ და უარი ვსთქვი საუზმეზე, მაგრამ მასპინძელმა ისე ძალიან მთხოვა, რომ უარის თქმა აღარ შეიძლებოდა და მეც მოუჯექ სუფრას. დედაკაცები და ბავშვები ოთახიდან გავიდნენ, რადგან ჩინელებს წესად არა აქვთ, რომ დედაკაცებმა კაცებთან ერთად სჭამონ პური.

სადილი უბრალო, მაგრამ კარგი-კი იყო. აქ განგებ მოგონილი და მოთინთხლოელი მდიდრების სუფრის სამკაული საჭმელები არ იყო. ეს იყო გლეხის სადღესასწაულო სუფრა; შუა სუფრაზე მშვენიერი წვნიანი თევზი იდგა. სუფრის ოთხივე კუთხეებში იდგა წვრილად დაჭრილი ცხვრისა და ღორის ხორციით სავსე თეფშები. თეფშებს შუა-კი მთელი სუფრის ირგვლივ სხვა-და-სხვა მლაშე და ტკბილი საუზმე იდგა.

ამ საუზმეს ჩინელები სადილის წინადაც და თვით სადილის დროსაც სჭამენ ხოლმე.

თვითეული ჩვენთაგანის წინ ცარიელი თეფშები და პურის მაგიერ მოხალული ბრინჯით სავსე ჯამები იდგა. სადილი მეტად კარგი იყო და ყველანი მადიანად შეექცეოდნენ. სადილის შემდეგ მოგვიტანეს ღვინო და ფორთოხალები. ღვინო არ მო-

შეწონა, მაგრამ ეს ღვინო არ იყო, ბრინჯის არაყი იყო. სალა-  
მოზე დიდად კმაყოფილი სახლში დავბრუნდი.

### III.

#### ოჯახობრივი ცხოვრება და სამშობლოს სიყვარული.

სიმონს გადაუთვალთვალა თავის ნაცნობის, უანგ-მინგ-  
ცის, საოჯახო წიგნი, რომელშიაც წინაპართა შესახებ ამბავი  
იწყება 800 წლის წინად, და აი რას მოგვითხრობს ამ წიგნის  
შესახებ. ამ წიგნში აღნიშნული საოჯახო შესანიშნავი ამბები  
ყველა ოჯახის წევრებმა იციან, რადგანაც მას საოჯახო ყოველ  
ღიდ ღღესასწაულზე ხმა მალლა კითხულობენ. ამ წიგნიდამა  
სჩანს, რომ მთელი უანგ-მოსის სოფლის მცხოვრებნი ერთი ოჯა-  
ხიდამ გამრავლებულან. აი როგორა:

ამ 800 წლის წინად ვინმე უანგი, ჩინეთის შუა გულიდამ,  
ამ ადგილას გადმოსახლებულა. ეს ადგილი მას ძლიერ მოსწო-  
ნებოდა და ფეხიც მკვიდრად მოეკიდნა. ირგვლივ გაუვალი ტყე  
და შეუშუშავებელი მინდვრები ადამიანის მოსვლამ მალე შეს-  
ცვალა. მდინარისათვის მას ეწოდებინა სახელად ტაშუეი-სი, რო-  
მელიც ნიშნავს „დიდი მინდვრის წყალს“ და მისი კალაპოტი  
ისე გაესუფთავებინა, რომ წყალ-დიდობას მდინარე თავის ნაპი-  
რებს აღარ სცილდებოდა. ამ მდინარეს დიდი სამსახური გაე-  
წივნა მისთვის. უანგს ამოერჩინა ამ მინდვრის საუკეთესო ნაწი-  
ლი, შეემუშავებინა, თავისი სახელი ეწოდებინა და ეთქვა:

„ეს მიწა იყოს უანგებისაო“. როცა უანგს ქალები წამოე-  
ზარდნენ, მეზობელ სოფლებს მიათხოვა; ვაჟიშვილები-კი სიძეე-  
ბის დებზე დაქორწილა და ირგვლივ მიწა-ტყე დაუნაწილა.  
ამ რიგად აღორძინდა უანგის ოჯახი და ირგვლივ მამულ-დედუ-  
ლიც შეემუშავდა. ეხლა ეს ადგილი ორი ათას ოთხას დღიურამ-

დეა და ჰყავს ათი-ათასი მეკომური, რომელთა ჩამომავლობითი შტო მოხსენებული უნაგისაგან იწყება.

მთელი ადგილი ახმინებულია ხალხის მოძრაობითა. სიცოცხლე სდულს და გადმოდის და სწორედ არ იცი, ქალაქი უწოდო ამ ადგილს, თუ სოფელი. აქ ჩვენებური სოფლური ცხოვრება არ არის; არ არის თვალ-გაუწვდენელი შეუმუშავებელი და გაყამირებული მინდვრები; არც თუ ქალაქია, რადგან აქ ქალაქის ქუჩაწური აღრეულობა და ხმაურობა, ქალაქის სიმდიდრე-სიღარიბე აქ არ არის.

სასწავლებლები აქ ბევრია. თვითეულს ხუთმეტს კომლზე ერთი სკოლაა. მათი დიდი წინასწარმეტყველის ბუდის სახელობაზე აშენებულს ტაძრებთან მრავალი სახალხო სამკითხველოებია. ამის გარდა ბევრს მდიდარს ჩინელს თავის ხარჯით საყოველთაო სასარგებლოდ სამკითხველო აქვს დაარსებული; ეს სამკითხველოები წინაპართა სახსოვრად აშენებულს განსაკუთრებულს შენობებშია მოთავსებული. ბუდის სახელზე და წინაპართა მოსაგონებლად აშენებულ მრავალ ტაძრებს გარდა, თვითეულს უანგ-მოხის ათს უბანში საზოგადო სახლებია აშენებული.

უცხოელები ამ შენობებსაც ტაძრებს უწოდებენ, მაგრამ აქ არავითარი სარწმუნოებრივი ლოცვა-წესი არ სრულდება. ჩინელები ამ შენობებს უწოდებენ „ზაგოდას“ და სხვა-და-სხვა საჭიროებისთვის არის დანიშნული. კვირაში სამჯერ ამ შენობებში იმართება ვაჭრობა, შუა დღისას და საღამოთი მცხოვრებლები თავისი საქმეების მოსალაპარაკებლად აქ იკრიბებიან. იმავე შენობაში გადიხდიან ხოლმე გამოჩენილი პირების მოსაგონებლად საერო დღესასწაულებს. თუ ამ მხარეს მსახიობნი ეწევიან ხოლმე, წარმოდგენებს ამავე შენობაში ჰმართავენ.

დასასრულ, ამ შენობებს თავშესაფერად ხმარობენ ისინი, ვინც მოგზაურობის დროს სასტუმროებში ჩამოხტომას არ მოილოებენ.

ამ პატარა კუთხის ყოველ-მხრივი გაცნობა-შესწავლა საკმარისია, რომ აღამიანმა მთელი ჩინეთის სოფლებების და ადგილების ცხოვრებაზედ ჯეროვანი აზრი იქონიოს.

აი რა უამბნია სიმონისათვის მის ნაცნობს უანგ-მინგ-ცის:

— ჩემს პაპას თოთხმეტი ვაჟი შვილი ჰყვანდაო: მეხუთე მათგანი მამაჩემი იყო. უფროსი და მესამე ვაჟი სახლში დატრიალდნენ, მამა-პაპეულის ხელობას მიჰყენენ და მშობლებს შეეშველნენ: მეორე ვაჟი-კი სასწავლებელში შევიდა და იქამდის სწავლობდა, სანამ ოლქის მართველად (გუბერნატორად) არ დანიშნეს. პაპაჩემი მდიდარი ოჯახის შვილი არ იყო. იგი მხოლოდ ორი დღიური მიწის შემოსავლით აღონდიალებდა თავის ოჯახს.

მერე ამ ორი დღიური მიწიდანაც ერთი მეექვსედი საკუთრება იყო და დანარჩენი-კი ნაქირავეები ჰქონდა. იმ დროს, ესე 80—90 წლის წინად, სარწყავები ასე უხირი არ იყო და მიწის შემუშავება ძნელი იყო და არც ჯეროვანს მოსავალს იძლეოდა. რაკი ბევრი შვილები ჰყვანდა პაპაჩემს და საოჯახო სამუშაო და სახნავ-სათესი-კი ცოტა ჰქონდა, შვილები სხვა-და-სხვა ხელოსნებს მიაბარა ხელობის სასწავლებლად. მამაჩემისთვის დურგლობა ესწავლებინა და ორი შემდეგი ვაჟებისთვისაც სხვა ხელობა და სამიენი სამუშაოდ ქალაქში გაეგზავნა. მამაჩემი კარგა ფულებს თურმე შოულობდა და, როცა საოჯახო დღე-სასწაულებზე მოდიოდა ხოლმე სახლში, გადანარჩენებული ფულები თან მოჰქონდა და მამას აძლევდა. რაკი შვილები წამოეშველნენ პაპაჩემსა, მან ცოტა არ იყოს ზურგი მოიმავრა, მამულები შეისყიდა და მეურნეობა გააფართოვა. ოჯახში მუშაობამ იმატა და პაპაჩემმა თავისი შვილები ქალაქიდან სახლში დაიბარა. ქალაქში მხოლოდ უმცროსი შვილი დარჩენილიყო და ეხლა იგი კარგა შემძლე ვაჭარია. იგი ჩვენი ოჯახის დღე-სასწაულებზე მოდის ხოლმე. ამ ცოტა ხანში თავის ორს შვილს

უნდა გარდასცეს თავისი საეჭრო საქმეები და თვითონ-კი ჩვენთან დაბრუნდება. მან აქ კარგა დიდი მამული იყიდა ღლეს; ამ მამულში იმისი უფროსი ვაჟი მუშაობს. აგერ ის დიდი ტაძარი, მისის ხარჯით არის აშენებული და ჩვენი სკოლის შესანახ საჭირო ხარჯის ნახევარსაც ის იხდის.

პაპა-ჩემმა ქალი-შვილები შეძლების დაგვარად დაათხოვა და მამულ-დედულის-კი ვაჟიშვილებს დაუნაწილა. ძმების განაწილების შემდეგ მამაჩემი თვით შეუდგა ამ ოჯახის მართვას. მამის შემდეგ-კი ოჯახის მართვა მე გადმომცა.

— ძლიერ მოხარული ვარ, უანგ, რომ ასე კარგად მოგიწყევიათ ოჯახი,— ეუთხარი მე:— რა იქნებოდა, რომ მამული ცოტა გქონოდათ და თვით საქმეც რიგიანად არ წაგსელოდათ? მაშინ ხომ ოჯახის გაძლოლას ველარ შესძლებდით?

— გაჭირება რომ დაგვდგომოდა, ჩვენი ოჯახიდან ორისამი ვაჟკაცი ნათესაებთან წავიდოდით და იმათი შემწეობით მამულს იჯარით ავიღებდით.

— ეგ რომ ვერ მოგეხერხებინათ?

სხვაგან წავიდოდით და საქმეს-კი ვიშოვიდით. ვისაც შრომა უყვარს, იმას ყველგან მიიღებენ. განა თქვენს სამშობლოში-კი ასე არ არის?

ჩემ სამშობლოში აქაურსავით ბევრი ხალხი არ არის და ამასთან ჩემი სამშობლოს ნახევარი— ტყეს, ჭაობებს და უდაბურ ადგილებს უჭირავს.

— მართლა? მაშ რილასთვის ომობთ, როცა თვითონ სამშობლოშიაც შეგიძლიანთ მამულ-დედულის უკეთ შემუშავება და ხალხის გამრავლება?

— მე ამაზე არაფერი ვუპასუხე, რადგან მე ჩინელების ცხოვრების ყოველი წვლილის შეტყობა მინდოდა და არა ჩვენს ცხოვრებაზე და ჩემ თანამოქმეთა უკუღმართობაზე ლაპარაკი. ცოტა ხანს გაეჩუმდი და ლაპარაკის გამოსაცვლელად ეუთხარი:

— გმადლობ, უანგ, მაგ ამბის მოთხრობისათვის. მაგრამ, ერთი რამე უნდა გკითხოთ კიდევ. მე გამიგია, რომ თქვენში რაიმე დანაშაულის ჩამდენს უპირველესად ყოვლისა თვითონ ოჯახის წევრნი ასამართლებენ და სასჯელსაც უნიშნავენ. ნუ თუ ოჯახობრივს სასამართლოს მიმართავენ ხოლმე ისინიც, რომელნიც ოჯახიდან ცალკე გასულან და სხვა ადგილასა სცხოვრობენ?

უეჭველად! მაშ ვის უნდა მიჰმართონ? ნუ თუ მოხელეებს? ჩვენ ერთი ძველის-ძველი ანდაზა გვაქვს: „მოხელენი და გარეგანი კანონები არა პატიოსანი ხალხისთვის არსებობენ“. ხომ დავიღუპებოდით, რომ აქა-იქ გავიფანტნეთ. ოჯახის წინაპრების პატივისცემა დავკარგოთ და ურთი-ერთს მორიდება დაუწყოთ? ჩვენ ეს ძლიერ კარგათ გვესმის და იმიტომ ეცდილობთ ერთმანეთს არ მოეშორდეთ, მით უფრო, რომ ერთმანეთის დახმარების მნიშვნელობას ნათლად ეხედავთ. ესევე ითქმის სამშობლო მიწის შესახებ. ესთქვით გავიფანტენით; უეჭველია თვითეული ჩვენთაგანი ახალს მეგობარ-ამხანაგებს ვიშოვიდით; მაგრამ, განა ახალი მეგობარი ძველის მეგობრობას გაგვიწევს? ახალი ადგილის შეჩვევა ძნელია; ახალს მიწა-წყალს თავისებური, ჩვენთვის უცნობი შემუშავება უნდა, ახალი ჩვეულებები უნდა შევიძინოთ; ეს ცოტა არ იყო ძნელია. აქ-კი ჩვენთვის ყველაფერი ადვილია, რადგან რამდენიმე საუკუნეა, აქა ესცხოვრობთ, ყველაფერს ვიცნობთ და თვით ცხოვრების ნიადაგი ჩვენ წინაპართაგან არის მომზადებული. მინდვრებზე მავალი წყალი მათი გამოყვანილია, ხეები მათგან ჩარგულია; ყველა ეს ტაძრები, აკლდამები და თვით ზღაპრები, რომლებსაც პატარებს უამბობთ ხოლმე, ყველაფერს წინაპრებს გვაგონებს. ამ ჩვენთვის ძვირფას არე-მარეს რომ მოეშორდეთ, სად შეგვიძლიან მის მაგიერი რამ მოვიპოვოთ!!!

და მართლაც, ხალხს მხოლოდ მაშინ შეუძლიან გულ-

მართლად უყვარდეს სამშობლო, როცა იგი ეცდება გაათავო-  
თოვოს და დაამკვიდროს თვის-შორის კეთილი მართლ-მოყვა-  
რეობა და შეაფერხოს და განდევნოს სიბოროტე და სიცრუე.  
ღმერთმა ქმნას და ჩვენი თანა-მოძმენი სამშობლო მიწაზე ისე  
გაძლიერებულიყვნენ, გაცხოველებულიყვნენ და განვითარებუ-  
ლიყვნენ, რომ ერთი სიტყვაც-კი არ იკარგებოდეს უდაბნოსა  
შინა მლალადებლისაგით. დეე, თვითეულმა მცირე მიწის ნაწილ-  
მა მოგვეცეს პურით სავსე თავ-თავი! გავიხსენოთ, რომ წინა-  
პირთა ნალეაწ-ნაშრომით დღეს ჩვენ მუქთად ვსარგებლობთ და  
რომ ჩვენც დაულალავი შრომით მოვალენი ვართ მომავალს  
თაობას იგრევე შევეშველოთ და დავეხმაროთ, როგორც ჩვენ  
წინა-პარნი დავეხმარნენ. უპირველესად-კი საჭიროა ურთი-ერ-  
თის სიყვარული, სიტყვით-კი არა, საქმით და მაშინ შეგვიძლიან  
გსტყვათ, რომ ჩვენც სამშობლო გვაქვს!

#### IV.

#### ჩვეულებანი, კანონები და მანთებლობა.

მეორე დღეს კვლავ ჩემს მეგობრებთან წავედი, განაგრძობს  
სიმონი. იგი უკვე მელოდდა და დამინახა თუ არა, შორიდგან-  
ვე დამიძახა:

— მობრძანდით, მობრძანდით! საჭიროცა ხართ!

— მზათა ვარ გემსახუროთ! რა ამბავია?

— ჩვენი შეილის-შვილის გათხოვება გადავწყვიტეთ და  
თქვენ გელით, რომ ჯვარის წერის დღე დაენიშნათ.

— ვწუხვარ რომ ამ დღეებში მითავდება დათხოვნის ვადა  
და უნდა სამსახურში დავბრუნდე! დიდად, დიდად გმადლობთ  
პატივის-ცემისთვის.

ჩემი მეგობარი და იმასთან ერთად მთელი მისი ოჯახი ჩემ-  
მა პასუხმა ძალიან დაალონა; მაგრამ, რას ვიზამდი; თუმცა მეც

გულით მინდოდა მათს ჯვარის წერას დავსწრებოდი. ამის შესახებ მოხუცს გამოველაპარაკე და ვკითხე, რომ შენი შეილის-შვილი უკვე ჩვიდმეტი წლისაა და აქამდის რატომ არ გაგი-თხოვებია-მეთქი. ვიცოდი, რომ ჩინეთში ძლიერ იშვიათია, რომ 15—16 წლის შემდეგ ქალი გაუთხოვარი დარჩეს.

— მართალია, ორი წელიწადი გადასცდა მის ჯვრის წერას, — მიპასუხა მოხუცმა, მაგრამ, როცა ჩვენ და საქრმოს მშობლები საქორწილო დღეს ვნიშნავდით, უცებ ჩემი შეილის-შვილი ავად გახდა. ავადმყოფი მალე მორჩა, მაგრამ საქრმოს ბებია მოუკვდა და უნებლიეთ მათი ჯვარის წერა კვლავ გადი-დო. ეხლა-კი აღარაფერი მიზეზია და ჩემი შეილის-შვილი ახალ-გაზდა კუ-უნგ-შის ცოლი გახდება.

— მადლობა ღმერთს! დანიშნულებს, თქმა არ უნდა ლო-დინი მოჰბეზრდებოდეთ. სამაგიეროთ, ხომ ხშირად ხედავდნენ ერთმანეთს?

— ჰატარაობას ხშირად ხედავდნენ, მას აქეთ-კი აგერ ათი წელიწადია, ერთმანეთს აღარ შეხვედრიან.

— როგორ, საქრმო თავის დანიშნულს რიგიანად არც-კი იცნობს?

— ეგ ძლიერ ხშირია ჩვენში.

— მერე რა მიზეზია, გეთაყვათ, ამიხსენით?

— ჩვენში ჯვარ-დაუწერავად ერთად ცხოვრება არ შეიძ-ლებს და ჯვარის-წერა მახლობელ ნათესავთა შორის აკრძალუ-ლია. ჩვენ გვრწამს, რომ ოჯახობრივბედნიერება საქრმოს და საცოლოს გარეგან სახიერებაზე-კი არა, მათ ყოფა-ქცევაზე და აღზრდაზეა დამოკიდებული. ჩვენს ბავშვებს ვასწავლით, რომ აღამიანი გარეგნობით-კი არა, მისი სულიერი ღირსებებით და-ფასონ. ცოლ-ქრმობა დიდი საქმეა და ჩვენ იმიტომ არ ვაძ-ლევეთ ნებას ახალგაზდებს ერთმანეთი ხშირად ნახონ, რომ უბ-რალოდ არ შეიყვარონ. მაშინ ჩვენი კანონი — ნათესავთა შორის

ცოლქმრობის აკრძალვა—ხომ უმნიშვნელო იქნებოდა. არა, მაშინ შეუძლებელი გახდებოდა, რომ ახალგაზდებს საფუძვლიანი ცოლქმრობა ჰქონოდათ; უპირველეს საქმედ გარეგან სილამაზეს გახდიდნენ და ოჯახის საქმეც უკუღმართად წავიდოდა.

— მე მგონია, რომ, თუ ბავშვებს კარგათა ზრდით, მაგვარი სიფრთხილე მეტის-მეტია.

— ჩემო კარგო! ბავშვებს შეუძლებელს ვერ მოვსთხოვთ. ჩვენ იმათ ძლიერ აღრე ვაქორწილებთ; ან რა საჭიროა ლოდინი, სანამ ისინი დიდ-ჰკვიანები გახდებიან? მშობლებმა უკეთ იციან მათი ავ-კარგიანობა და ყოფა-ქცევა. თუ მოხდება ხოლმე, რომ მშობლები ანგართ-მოყვარეობის გამო აქორწინებენ შვილებს, ეს ხომ მშობლების ნაკლულევენებაა და არა ქორწინების წეს-რიგი. მაგრამ ამ გვარი შემთხვევა ჩვენში ძლიერ იშვიათია. ჩვენში მუშა ხალხი ამ წესს მისდევს, და უნდა გითხრათ, ძლიერ კარგი ცხოვრებაცა გვაქვს. ჯვარ-დაწერილნი ერთმანეთს შეიყვარებენ ხოლმე და ტკბილად ცხოვრობენ. ჩვენში გაუთხოვარი ქალი და უცოლო კაცი ძლიერ იშვიათია. ახალგაზდები რომ თავისი არჩევით ქორწილდებოდნენ, შეჭველად უბედური ცოლ-ქმრობა ხშირი იქნებოდა და გაუთხოვარი ქალი და დასაქორწილებელი კაციც—ძლიერ ბევრი...

— თქვენ ლაპარაკში, ჩემო უნგ, ბევრი მართალია, თუმცა-კი ზოგი-ერთში არ შემიძლიან დაგეთანხმოთ, მაგრამ დავანებოთ მაგას თავი. უფრო უკეთესი იქნება, რომ თქვენი ოჯახის ამბავი განაგრძოთ.

— ჩემი ოჯახის ამბავი გუშინ თითქმის სულ გიაშბეთ. დამრჩა მარტო საკუთრივ ჩემი ამბავიც გითხრათ. მე მოხელეობას ვაპირებდი; ორჯელ საჭირო გამოცდაზედ ვიყავ, მაგრამ ორჯელვე ჩავიჭერ და მოხელეობის მაგიერ მეურნეობას მივყავი ხელი.

— განა ასე ძნელია მოხელეობის მიღება?

— არც თუ ადვილია. ჩვენ მოხელეები ბევრი არა გვყავს, მსურველები-კი ბევრია და, რასაკვირველია, ყველა ვერ მიაღწევს სურვილს. ვინც მოხელეობისათვის საჭირო გამოცდაზე იჭრება, ის ან მხნელ-მთესველად რჩება და ან მასწავლებლად მიდის. ჩვენში ბავშვების სწავლას თვით ხალხი განაგებს.

— ნუ თუ მთავრობა არ ერევა ხალხის სწავლა-განათლებლაში?

— არა! ეგ საქმე თვითყული ოჯახის მოვალეობაა. თვით უმაღლესი სასწავლებელი—მეცნიერთა აკადემია,—თუმცა მთავრობის ხელშია, მაგრამ არც ის არის მთავრობის სრულს გამგეობაში. მთავრობა მხოლოდ გამოსცდის ხოლმე იმ პირთ, რომელთაც რაიმე თანამდებობის მიღება უნდათ და მაშინაც-კი აკადემიელთ მოიწვევს ხოლმე გამოსაცდელად. ჩვენ ვცდილობთ შეძლების და გვარად ყოველივე ჩვენი საქმე ჩვენვე მოვაწყოთ, გავაკეთოთ და სხვის ხელში არა ჩავაგდოთ-რა. უცხო კაცი ჩვენს საქმეს განა ჩვენსავით ერთგულად მოეკიდება?

ჩვენში მთავრობა ვაჭრობასაც-კი არ ეხება და ან რა საჭიროა! ჩინელები ბევრნი ვართ და კეთილ-დღეობაც არ გვაკლია. რაკი კეთილ-დღეობა არ გვაკლია, მაშასადამე, ვაჭრობა და მრეწველობაც შესაფერად არის დაყენებული და რაღა საჭიროა მთავრობის დახმარება და საქმეში ჩარევა!?

რის გაკეთებაც თვითონ შეგვიძლიან, მას მთავრობას არ ვახვევთ კისერზე და ეს არის შიზეზი, რომ ხარჯს ძლიერ მცირეს ეიხდით. ჩვენა წლადურა საკომლელ სასხელმწიფო საჯჯი თხუთ-მეტს შაურს ანუ კრთს მანეთს არ ადემატება. ჩვენი მთავრობისათვისაც მეტი საჭირო არ არის. ჯარი ბევრი არა გვყავს და არც ძვირად გვიჯდება იმისი შენახვა. განათლება და ვაჭრობა ჩვენს ხელშია; რჩება მარტო სამსჯავრო და სასულიერო ნაწილი, მაგრამ აქაც იმას ვცდილობთ, რომ ეს საქმეებიც თვითონ

ხალხმა განაგოს. თვითეული ოჯახი ჩვენის აზრით პატარა სახელმწიფოს უნდა წარმოადგენდეს: ჩვენ მიზნად ისა გვაქს, რომ რაც შეიძლება ჩვენი საქმე თვითონ ჩვენვე გაეკეთოთ; მთავრობა ჩვენი ძიძა-კი არა, თანაზიარი და დიდი ოჯახის წარმომადგენელია...

ყველა კარგი, უანგ, მაგრამ თქვენში კანონებს ვილა სთხუზავს, ვინ არდგენს?

ნუ გავიწყდებათ, ბატონო, რომ ჩინეთი ძველი სახელმწიფოა და, მაშასადამე, ყველა უმთავრესი კანონები დიდი ხანია, რაც ჩვენ ცხოვრებითი გამოცდილებითა გვაქს შეძენილი და ჩვენთვის ახალი კანონების გამოცემა სულ მეტია. მთავრობა მხოლოდ დროებით დადგინება-განკარგულებას ახდენს და ეს ხომ კანონს არ შეადგენს, კანონი თვით ადამიანია. საჭიროა მხოლოდ ხელი შეუწყოთ, რომ ადამიანმა ჯეროვანად შეიმუშავოს და იხელმძღვანელოს კიდევ თავისი შინაგანი კანონით. მაშინ თვით ადამიანიც გაუკეთესდება და კანონსაც ადვილად გაიგებს; საჭიროა მხოლოდ, რომ კანონის ამ გაგებას ხელი არ შეუშალოთ. ეს ერთი. მეორე არის ურთ-ერთის სიყვარული: უამისოთ ხალხი დიდი ხანია დაიღუპებოდა. მესამე. უნდა კარგად გვეკონდეს შეგნებული, რომ ყველანი ერთი ციურა მამის შვილები ვართ და უმაღლესის სიმატლის წინ თანასწორები. ამ რწმენიდან წარმოსდგება ურთი-ერთ შორის სამართლიანი დამოკიდებულება. აი ჩვენი კანონების საფუძველი. ამათი შეცვლა და გამოცვლა ყოვლად შეუძლებელია. ამ საფუძველზე აღორძინებული ჩვენი ოჯახი და სახელმწიფო. რომ ამ საფუძველების წინააღმდეგ კანონების გამოცემა შეიძლებოდეს, ეგ ხომ უკანონობა იქმნებოდა და ჩვენ მოვალედ არ ჩავთვლიდით ჩვენს თავს მათ დავმორჩილებოდით. ამ გვარს კანონს ჩვენი მთავრობა არას დროს არ დაადგენს. თუ ახალი რაიმე განკარგულება

კარგია და ჩვენთვის სასიკეთოა, ხომ ჩვენ მზათა ვართ იგი მივიღოთ და დავემორჩილოთ...

ჩვენში ყველა ეს აი როგორ ხდება: ესტკვათ, რომელიმე მმართველი შეიტყობს, რომ სადმე ისეთი ჩვეულებაა, რომლის შექოლება მისი აზრით დიახ სასარგებლო იქნებოდა მისდამი რწმუნებულის ხალხისათვის. იგი ამის შესახებ უცხადებს მთავრობას, მთავრობა მის განცხადებას გარდასცემს სამეცნიერო აკადემიას, რადგან აკადემიის მსწავლულებმა ხალხის ზნე-ჩვეულება უფრო უკეთ იციან. როცა ამ განცხადებას აკადემია მოიწონებს, მაშინ მთავრობა საყოველთაოდ გამოაცხადებს მას დროებით გამოსაცდელად. თუ ამ განკარგულებას ხალხი მოიწონებს და შეითვისებს, მთავრობა მას შეიტანს კანონების წიგნებში. ეს ახალი განკარგულება დაკანონდება ხოლმე მხოლოდ მაშინ, როდესაც ტახტზე ახალი ხელმწიფე ავა. თუ ახალი კანონი ხალხს არ მოეწონა, არც აასრულებს მას და ამ გვარად ის თავის თავად უარყოფილი იქნება, როგორც გამოუსადეგი რამ. ასევე ეპყრობა ხალხი ყველა ახალს განცხადებას და წინადადებას, რომლის აღძვრა ყველა ადამიანს შეუძლიან.

სწორედ რომ ძნელი დასაჯერებელია ყველა ის, რასაც ჩემი ნაცნობი მოხუცი ჩინეთის წეს-წყობილებაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა.

ჩვენ, ევროპელებს, ამბობს სიმონი, ისე მოგვაქვს თავი ჩვენი განათლებით და კეთილ განწყობილება-წესიერებით, რომ ძნელია, რასაკვირველია, დავიჯეროთ, რომ ჩინეთი ჩვენს სახელმწიფოსთან შედარებით, უკეთ იყოს მოწყობილი, მით უფრო, რომ ჩინეთი ჩვენ ველურთა სახელმწიფოდ გვაქვს წარმოდგენილი. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ჩინეთში ცხოვრებამ სულ მთლად შემიცვალა აზრი და მოხუცი ჩინელის ნალაპარაკების სიმართლეში დამარწმუნაო, აბოლოვებს სიმონი და აი სხვათა შორის მაგალითი, თუ როგორ მიიღებს ხოლმე ხალხი

ადგილობრივი მთავრობის რომელიმე განკარგულებას.

ერთს პატარა სამაზრო ქალაქში ახალი მაზრის უფროსის დანიშვნის ქალაქი მოვიდა.

ხალხი საშინლად ააღელვა ამ ამბავმა, რადგან ახალ მაზრის უფროსზე ცუდი ხმები იყო გავრცელებული. შეიკრიბა სამაზრო საბჭო და გუბერნატორთან თხოვნა გაგზავნა, რომ სხვა მაზრის უფროსი დანიშნა. კერძოდ მკვიდრთაც გაგზავნეს წერილები და თხოვნა გუბერნატორთან, რომ ახლად დანიშნული მაზრის უფროსი არ გამოეგზავნათ. გუბერნატორმა რაღაც მიზეზით ხალხის თხოვნას ყურადღება არ მიაქცია და ამბავი მოვიდა, რომ წინა ი დანიშნული მაზრის უფროსი მოდისო.

ქალაქის მცხოვრებნი, ჩვეულებრივ, მაზრის უფროსს ქალაქს გარეთ დაუხვდნენ. სადილი გაუმართეს, ზრდილობიანად მიეგებნენ და თან გამოუცხადეს, რომ იგი ხალხს არა ჰსურს და ამიტომ მისი ქალაქში შესვლა შეუძლებელია. საქმე ურთერთის თანხმობით გარიგდა: გუბერნატორმა ის მაზრის უფროსი სხვაგან გადისყვანა და იმ მაზრაში-კი სხვა უფროსი დანიშნა. არ-კი იფიქროთ, რომ ხალხი უკანონოდ მოიქცა. სრულიადაც არა! ისინი თავიანთ ჩვეულება-კანონის და ჩინეთის დიდი მასწავლებლის და მოციქულის, კონფუციუსის, თანხმად მოქმედებდნენ. უნდა ვსთქვათ, რომ კონფუციუსი სწავლამ დააწესა მთავრობას და ხალხს შორის დამოკიდებულების წეს-რიგი. ჩინეთის მთავრობა ხალხის სარწმუნოებაში სრულიად არ ერევა და ვისაც რა სარწმუნოებაც ჰსურს, იმას აღიარებს. და სწორედ ამიტომ არის, რომ ჩინეთის მოხელეთა შორის თქვენ ნახავთ ყოველ გვარი სარწმუნოების პირთ. ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ სახალხო განათლებაში მთავრობა სრულეებით არ ერევა. ჩინეთში სკოლის გახსნის წება ყველას აქვს და ყველა თავისუფალია, როგორც და რა გვარს სწავლასაც მიიღებს, ან თუ სრულიადაც არას ისწავლის. მაგრამ თვითეულს ჩინელს ძლიერ კარგად

აქვს შეგნებული, რომ სწავლა აუცილებელი საჭიროებაა ადამიანისათვის. სატახტო ქალაქიდან დაწყებული უკანასკნელს სოფლებამდე ყველგან სწავლაა გაჩაღებული. რაკი ბავშვი ცხრა წლისა შესრულდება, ვისი შვილიც უნდა იყოს, მაშინათვე სწავლას აწყობინებენ. ჩინეთის სკოლაში ასწავლიან მიწის მუშაობას, მცენარეთა მოყვანას, ზრდილობიან სიტყვა-პასუხს, სტუმრის დახვედრა-გასტუმრებას, ცხენზე ჯდომას, ისრის სროლას და ბოლოს წერა-კითხვას, ანგარიშს და ხატვას. ჩვენში ანდა-ზადაც-კია დარჩენილი, რომ ჩინური წერა-კითხვა ძნელი სასწავლებელია, და მართალიც არის: იმათი ანბანის ასოები თვითთულს ხმას-კი არა, მთელს სიტყვას და აზრს ხატავს. ჩინურს ენაზე წერა-კითხვა ძლიერ ძნელი სასწავლებელია, მაგრამ ძნელად შეხვედებით ამ უზარმაზარს სახელმწიფოში ჩინელს, რომელმაც სამშობლო ენაზე წერა-კითხვა არ იცოდეს. სწავლაცოდნისადმი ძლიერი სიყვარული, მისი ღირსეული და ჯეროვანი დაფასება ჩინელების მხრივ კიდევ იმით მტკიცდება, რომ ჩინეთში მასწავლებლებს და მსწავლეულებს განუსაზღვრელის პატივისცემით და სიყვარულით ეკიდება ხალხი. მასწავლებლებს ჩინეთში ისეთივე პატივისცემით ეკიდებიან, როგორც სახელმწიფო წარჩინებულს პირს; მასწავლებლებს თავის შეგირდზე უფლებს-გაკლენა შემდეგ ცხოვრებაშიაც აქვთ. ყველა მოხელენი და სახელმწიფო სამსახურში მოსამსახურენი მსწავლელთაგანი არიან, რადგან, როგორც ზევითაც ვსთქვით, სახელმწიფო სამსახურში შესვლისათვის საჭიროა დადებული გამოცდა გამოიაროს სამსახურის მიღების მსურველმა. ხშირად ცოლ-შვილიანი და 70 წლის მოხუცნიც-კი არ ერიდებიან გამოცდას. სახელმწიფო სამსახურის მთხოვნელისათვის ცოდნის გარდა, საჭიროა დარბაისლობა, სიღინჯე, თვის გრძნობათა დაფარვა, რადგან ყველა ეს ჩინელთა აზრით ადამიანის სიბრძნეს ამტკიცებს. მთავრობა არც ოჯახობრივ და სათემო საქმეებში ერევა. ჩინელები მთავრო-

ბას არ ატყობინებენ და არც ნებასა სთხოვენ, როცა რაიმე საქმის გარდასაწყვეტად საჭიროა სათემო ყრილობა ანუ რაიმე ამხანაგობის დაარსება. ჩინეთში რა გვარი წიგნიც გსურთ შეგიძლიანთ დაჰბეჭდოთ. ძლიერ ბევრს შეხედებით მთავრობისა და უფროს მოხელეთა წინააღმდეგ შინაარსიან წიგნებს. ამ წიგნებში სწორედ ის განკარგულებანია გარჩეულ-განკიცხული, რომელთაც ხალხი არ თანაუგრძობს. ჩინეთში ვაჭრობა-მრეწველობისათვის არაერთარი მოწმობები არ არის საჭირო.

მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ჩინელებს საკუთარი სასამართლო აქეთ და თავიანთი მსაჯულები ჰყავთ. აქ ყველა ოჯახის უფროსი მსაჯულია და მთავრობა მხოლოდ მაშინ არჩევს საქმეს, როცა მას მიჰმართავენ ხოლმე. ჩინეთში ერთმანეთის ნდობა და დახმარება ძლიერ არის გავრცელებული.

ჩემს მოგზაურობის დროს, ამბობს სიმონი, არა ერთხელ და ორჯელ შემომადიოეს ნაცნობმა ჩინელებმა სესხად ფული, უსარგებლოდ და უქაღალდოდ. ბატონო, მეუბნებოდნენ ჩინელები: კარგა ხანია, რაც აქა სცხოვრობთ, სამშობლოს მოშორებული ხართ! იქნება ფული გიჭირთ, ჩვენ მოგართმევთ... მე-კი მათთვის სულ უცხო ვიყავ, — აბოლოვებს სიმონი.

აქედამ ნათლად სჩანს, თუ რა გვარი უნდა იყოს თერთონ მათ შორის ნდობა, როცა უცხო კაცსაც-კი ასე ნდობით ეკიდებიან. ამ ნდობამ ჩინეთში დაჰბადა საზოგადოებები, რომელნიც მცირე სარგებლით ასესხებენ ფულს. საზოგადოება აღებულს სარგებელს ისევ საზოგადო საქველ-მოქმედო საქმეებს ახმარებს, შემწეობას აძლევს: ღარიბს მოსწავლეს, რომელსაც სიღარიბისაგან სწავლის გაგრძელება არ შეუძლიან, — გლევს, რომელსაც ოჯახის საქმის გასაძლიერებლად ძროხის სყიდვა უნდა და შეძლება-კი არ შესწევს; — ანუ ახლად ვაჭრობის დამწყებს, ხელ-მოკლე მშობელს, რომელიც ქალს ათხოვებს, ერთი

სიტყვით, ვისთვისაც-კი დროებითი შემწეობაა საჭირო, ეს საზოგადოებანი ყველას ხელს უმართავენ...

V.

მეურნეობა ჩინეთში.

ჩინელთა რწმენის საფუძველი გამოიხატება იმათი მასწავლებლის, კონფუციუს, შემდეგის სიტყვებით: „მარტო აზროვნებით არ იცხოვროთ; საჭიროა აზროვნობა შეუფარდოთ საქმეს და იცხოვროთ ისე, რომ თქვენც და სხვასაც სიკეთე გეტყუობოდეთ. გახსოვდეთ, რომ ფიქრი ცაზე და მსოფლიოს დავიწყება შეუძლებელია, რადგან ცა მსოფლიოს ნაწილია. მსოფლიო-კი უსამზღვროა. აგრეთვე არ შეიძლება ფიქრი ცხოვრებაზე და თვით ცხოვრებისა-კი დავიწყება, ე. ი. ნათქვამის საქმით აუსრულებლობა. ჩვენი აზროვნობა ჩვენს ცხოვრებასთან უნდა მჭიდროთ იყოს შეკავშირებული. დედა-მიწა ცის შუა იმყოფება და სამოთხე თვითონ დედამიწასუა. სამოთხის მოწყობა თვით ადამიანსუა დამოკიდებული. როცა სულისათვის ზრუნავთ, ხალხსაც ზატევის-ცემით მოეპყარით და იცხოვრეთ ისე, რომ წარსული და მომავალი თქვენთვის ისე იყოს, რაც აწმყოა. კაცობრიობა ერთია: თქვენ თქვენი წინაპართა მემკვიდრეები ხართ, არ დაივიწყოთ ისინი; თქვენ თქვენ მომავალს თაობას ამდეკთ სიცოცხლეს და ამიტომ ისინიც გახსოვდეთ. რადგან შეკავშირებული ხართ მიწასთან, რომელსედაც სცხოვრობთ, ამიტომ გვერდი არ უნდა აუქციოთ მას, იშრომეთ და შეუმუშავებლად ნურც ერთ ნაბიჯ მიწას ნუ დასტოვებთ. გაჩინე ცხოველები, მცენარეები და უფრო მომეტებული-კი ააღვრძინეთ თქვენში კეთილი და ეცადებით გააუკეთესოთ თქვენი თავი და თქვენი ცხოვრება“.

ყველა ეს ჩინელთ ისე აქვთ ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ ყველა ამას ჩინეთში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, მინამ სამოქალაქო კანონებს.

ჩინელები ყველაზე მომეტებულად მიწის მუშაობას აფასებენ. ეს იქიდანაცა სჩანს, რომ ჩინელების უპირველესი დღესასწაული მიწად-მოქმედების დღესასწაულია. ცხრა მარტს ჩინეთის იმპერატორი დიდის ამბით მიბრძანდება ტაძარში. საკურთხეველის წინ, ვეზირებით, კარის კაცებით და ხალხით გარს შემოხვეული, იმპერატორი სწირავს ცას ხუთი ჯიშის პურის მარცვალს. სამლოცველოდამ იმპერატორი იქვე ტაძრის გალავანს გარეთ მინდორში მიდის. აქ საქონელ შებმული ვერცხლის გუთანის ელის მას. იმპერატორი თითონ ხუთს კვალს ხნავს და მოხუცში იმავე ხუთი ჯიშის პურს სთესავს. მარცვლის დათესვა ნიშნავს აღმართის, დედამიწის და წის ურთ-ერთის თანხმობას. თვით მარცვალი ნიშნავს აღორძინებას, დადგანაც მარცვალი რომ კვდება, მის მაგიერ მცენარე ამოდის, რომელიც ამ გვარსავე მარცვალს იკეთებს. ხუთი ჯიშის პური, რომელიც ჩინეთში მოდის, ნიშნავს ყველა ჩინეთის მცხოვრებელს ნათესაობას. გუთანი ნიშნავს შრომას, ურთობისოდაც შეუძლებელია აღორძინება და ერთობა.

მიწად-მოქმედების უქმე ჩინეთში ყველაზე დიდი და ბრწყინვალე დღესასწაულია. ამ დღესასწაულის გარდა სხვა საერო დღესასწაულებიც აქვთ ჩინელებს, მაგალითად, დღესასწაული წინაპართა მოსაგონებლად. ამ დღესასწაულის დროს მთელი ხალხი და თვით იმპერატორი თავის ვეზირებით საგვარეულო სასაფლაოზე გადიან. ახალ წელსაც უქმობენ ჩინელები. ახალ წლის პირველს დღეებს ჩინელები ერთი-ერთმანეთში დადიან, ულოცავენ დღესასწაულს და საჩუქრებს უძღვნიან ერთმანეთს. საახალწლოდ, ყველა ჩინელი, რაც უნდა ღარიბი იყოს, სცდილობს, რომ უეჭველად, როგორც თითონ, აგრეთვე მთელი ოჯახი ახალი ტანისამოსით შემოსოს. სახლებს ამ დღესასწაულისთვის ახლად ღესავენ და ოთახების კედლებზე სხვა და სხვა ფერად დახატულს ქალღმერთებს აკრავენ. ახალწლის დღესასწაული ათ დღეს გასტანს ხოლმე. ამ ათი დღის განმავლობაში

ჩინელი არა მუშაობს; ირგვლივ მხიარულობა, ღროს გატარება და ნალარის ხმა ისმის. თუმცა ჩინეთში დღესასწაულებში დიდი მხიარულობა და ღროს გატარება იციან, შესანიშნავია, რომ მათში სიმთვრალე სრულიად არ არის.

ჩინელებს სწამთ, რომ მთელი კაცობრიობა ერთი ადამიანიდამ არის ჩამომავალი და ამიტომ ერთად და ძმურად უნდა ცხოვრობდნენო. ამის-გამო, სადაც-კი შეხვალთ საზოგადო, თუ კერძო სახლში, ყველგან ნაზავთ ლამაზ ფირფიტებს შემდეგი წარწერით: „ვინც უშრომლად ცხოვრობს, ის თავის მასწავლებელს შიმშილით ჰკლავს“.

ჩინეთში შრომას ყველაზე დიდი და საპატიო ადგილი უჭირავს. ჩვენში,—მეუბნებოდნენ ჩინელები, ამობს სიმონი,— შრომა—სამართლიანი, ადვილი და სასიამოვნოა. თქვენ ევროპიელნი სცდილობთო სხვა და სხვა მანქანებით ადამიანის შრომა შეამციროთ და მთლად მოსპოთო; ჩვენ-კი შრომის მოსპობა დიდ ცოდვად მიგვაჩნიაო.

და უნდა ვსთქვათ სიმართლე, განაგრძობს სიმონი, რომ მთელს დედამიწის ზურგზე ჩინელისთანა შრომის-მოყვარე არც ერთი ერი არ არის. ყველა ჩინელმა რამდენიმე ხელობა იცის და უკეთუ ერთი ხელობით ვერას გაზდა, მეორე და მესამე ხელობასა ჰკიდებს ხელს. უსაქმოა ჩინეთში არ მოიპოვება.

ჩინეთში უსაქმო ხალხს, მონას და ყმას ვერ შეხვდებით. ყველა ჩინელი მუშაა და ამასთან ერთი და იგივე საქმის მკეთებელი: დაუცხრომლად შრომობენ თავის-თავის, მიწის და კეთილი ცხოვრებისათვის ყველა საქმრო სახსრის მოპოვება-გაუკეთესობისათვის. ერთი სიტყვით, ჩინელი შრომობს იმიტომ, როგორც თითონ ამბობენ, რომ მივადწიოთ ადამიანის, დედამიწის და ცის სრულს თანხმობამდისო.

ჩინელები ყოველ გვარს შრომას ერთ გვარის პატივისცემით ეპყრობიან და ერთ გვარადვე აფასებენ; კალატოზი, მი-

წის მთხრელი, დურგალი და სხვა გვარი მუშა თუ ხელოსანი ისეთივე პატივის-ცემით იხსენება, როგორც ექიმი, მხატვარი და სხვანი; ამიტომ შრომაშიაც ყველანი ერთ გვარს ხელ-ფასს იღებენ. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ჩინეთში არ იციან—თუ რა ხილაა კეთილ-შობილური და ანა კეთილ-შობილური შრომა. არის მხოლოდ ერთად-ერთი მუშაკი ჩინეთში, რომელსაც მართლა რომ ყველაზე დიდს პატივსა სცემენ. ეს მუშაკი აწის მასწავლებელი. მასწავლებელს, რომელსაც თავის შეგირდისათვის წეს-კითხვას უსწავლებია, ნება აქვს შენიშვნა-დარიგება მისცეს თავის შეგირდს მაშინაც-კი, როცა მას თუნდა დიდი ვეზირის ადგილი უჭირავს.

მსწავლელი ხალხი ჩინეთში მთავრობის და ხალხის შუამავალია. ისინი დაწვრილებით სწავლობენ და იკვლევენ ხალხის საჭიროება-მოთხოვნილებას და მთავრობის წინ შუამდგომლობენ ამ საჭიროება-მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამ მოვალეობას მსწავლელნი ჯეროვანის პატიოსნებით ასრულებენ და ამიტომ ხალხსაც უყვარს ისინი და ენდობიან კიდევც.

კონფუცი ამაბობს: დედამიწას დაუბრუნეთ ის, რასაც იგი გაძლევთ. დედამიწიდან მიღებულის უბრალოდ ფლანგვა დანაშაულობაა. ნუ მისცემთ მას ზღვას, ნუ გაიტანთ სამშობლო მიწას სამზღვარ გარეთ და ნუ დაივიწყებთ, რომ დედა-მიწა ადამიანისთვის იგივეა, რაც საკუთარი სხეული; როგორც სულია შეერთებული სხეულთან, აგრეთვე ადამიანი უნდა შეერთებული იყოს დედამიწასთან. მიწის მუშას მართებულად მოეპყარით: მუქთა-ხორკებს ნება არ უნდა ჰქონდესთ მშრომელის ნაშრომი მიითვისონ და სხვისი რფლით შექნილი დაისაკუთრონ.

ჩინეთში ხალხზე ხარჯის გაწერას და მიწის სარგებლობის განაწილებას კონფუციის ზემო მოყვანილი სიტყვები აქვს საფუძველად. თვით კანონიც მთარველობას უწევს ყველა მშრომელს ადამიანს. ჩინელი გლეხი ქალაქის ზიზილ-პიპილებს, სია-

მოენებას და ათას ფეროვნობას არ ელტვის. არც საჭიროა იმისთვის ქალაქი, რადგან თავის სურვილით ამორჩეულის შრომითაც, იგი ცხოვრებისათვის საჭირო ფულებსაც იღებს და შესაფერადაც სიამოვნებს. თვითეული მიწის მუშა კარგად გრძნობს, რომ იგი შეკავშირებულია იმ მიწასთან, რომელიც მას საზრდოს აძლევს და თვისი თავის ბატონად ხდის და ამიტომ უყვარს მას თავისი შრომა და ის ნაჭერი მამული, რომელსაც ის საკუთარის თავივით უვლის და არას დროს არ დასტოვებს მათ. თვითონ მიწაც ჩინეთში მეტად ნაყოფიერია და მუშათა ნაშრომს ჯეროვანად აჯილდოვებს. ვისაც-კი მეურნეობის დაწყება უნდა, იმისთვის ოციოდე მანეთია საკმარისი. ძვირფასი სამეურნეო იარაღი მისთვის საჭირო არ არის. არც სასუქს ყიდულობს ჩინელი: შინაური ნარჩომ-ნურჩომით, ადამიანის ოქროთი, ნეხვით, ნაცრიით, ნაგვით და მისთანებითაც ძალიან კარგად აპატივებს ის თავის მამულს. აქ უფრო ხალისი და ერთგულად მუშაობაა საჭირო: ეს-კი ყოველი ჩინელის თვისებაა.

ჩინელები მამულს ძალას და ნოყიერობას არ აცლიან: ახსომთ, რომ მიწა მზრუნველი დედაა და ამიტომ მიწიდან მონაგარს სხვა-და-სხვა გვარად ისევ მიწას უბრუნებენ; მამულს ჩინელები მეტის-მეტად ბეჯითად უვლიან და ეს არის მიზეზი, რომ ჩინელნი ჩვენზე გაცილებით უფრო დიდს მოსავეალს იღებენ. ჩინეთში მეურნეს, მეცნიერული ცოდნა-კი არა, საუკუნოებით შექმნილი სიბრძნე და გამოცდილება ამოქმედებს.

თუ თქვენ კეთილ-გონიერება, წინ-მსვლელობა, შრომის-მოყვარეობა და კეთილ-შობილება არა გაქვთ, ამბობენ ჩინელები, მეურნეობას ხელს ნუ მოჰკიდებთ. თუ არა გაქვთ ოჯახი, ან ვერ შესძლოთ ოჯახში წესიერების მყუდროების და კეთილ-სინიღისიერების ჩამოგდება, მეურნეობაც ჯეროვანად ვერ წავგივათ, თუნდაც უმაღლესი მეცნიერებით და საუკეთესო მანქანე-

ბით იყოთ შეიარაღებულნი. მართლაც, სადაც წესი და რიგი არ არის, იქ არც მეურნეობა იბოგინებს. ჩინელებს ხომ ჩვენზე გაცილებით უკეთესი წეს-რიგი აქვთ. ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ყოველი ადამიანი სიმართლით და სენიდი-სიერად უნდა მოქმედებდეს, მაგრამ ის-კი ყველამ აღარ ვიცით, რომ სიმართლით და სენიდი-სიერად მოქმედება კერძოდ და საზოგადოდ უფრო უკეთესია, მანამ უსენიდი-სო და უმართებულო ქცევა. ჩინელების მართლ-მოყვარეობა და სენიდი-სიანობა სწორედ რომ თითოთ საჩვენებელია და ამიტომ იქ მეურნეობაც ჰყვავის. ჩვენში დაგვიჩვენებენ, რომ სთქვა— „დედამიწას სიმართლით მოკჷყარო“, იმიტომ, რომ დედამიწა არ გრძობს; ჩინელები-კი სულ სხვა გვარად ფიქრობენ: ისინი პატარაობიდანვე ეჩვევიან მართო ადამიანს-კი არა, პირუტყვებსაც და დედამიწასაც ჯეროვანის პატივისცემით მოვებყრან.

აი რას ამბობს იმათი კანონი: „შესაფუკი ზატევი მიეც მცენარეს, ხაჩს და ცხენს. გაფრთხილდი, რომ ძრახა შენი უმადური არ იყოს, რომ ძაღლს უმადურება არ აგრძნობინო. დედა-მიწა და-თესილი უნდა იყოს. უყურადღებოდ დაჩენილი მიწა იწყუკლებს და შემუშავებულ-კი შემუშავებულს ეუბნება: ამსოხ შენი მინდვრები ყოველივე საჭირო ჭირნახულით“. ესევე კანონი ამბობს: „შეამუშავე მიწა და დასთესე იგი; წმინდის გულით მოამუშავე ადამიანი მთელს ცხოვრებითს კანონს ასრულებს“. და, მართლაც, გასაკურველად შრომობს ჩინელი. სალამოთიც-კი, როცა მინდორში მუშაობისგან მოქანცული ბრუნდება სახლში, აქაც რამდენიმე საათს მუშაობს. არც ის არის იშვიათი, რომ ჩინელი ლიფლიფას თავზედ მიიბამს ხოლმე და დღისით დაწყობილს მინდვრის მუშაობას, ღამით სათლის შუქზედ განაგრძობს. ჩვენთვის სათაკილო და შესაზარს მუშაობას ჩინელი სიამოვნებით აკეთებს.

დედა ისე ერთგულად ვერ მოუვლის შვილს, როგორც ჩინელი მცენარეს უვლის. ჩინელი შეატყობს თუ არა, რომ მცე-

ნარე ავად ხდება, ან ხშება, მაშინვე ყოველ ღონესა ღონობს იმის გამოსაცოცხლებლად. მყაროს სასუქს ჩინელი მხიარულად მიაჩნებინებს მცენარესთან, რადგან იცის, რომ ეს საჭიროა ავადმყოფი მცენარის მოსაბრუნებლად.

ჩინელი ასეთივე სიყვარულით ეპყრობა ოთხ-ფეხ ცხოველებს: ჯორები და კამეჩები ჩინელებს მუშაობაში შევლიან და დიდს პატივშიადა ჰყავთ. ჩინეთში კამეჩს, ძროხას და ხარს თავის დღეში არ დაჰკლავენ. ცხერის მოშენებას-კი მხოლოდ მთიან და საძოვრიან ადგილებში მისდევენ.

ჩინეთში უფრო ღორის მოშენებაა გავრცელებული და კარგადაც ასუქებენ ღორებს; ღორის ხორცი ჩინელების ერთი უკეთესი საჭმელთაგანია. ყველა ცხოველები ადამიანთან შეკავშირებულები არიან, ამბობენ ჩინელები; არწივი და ძერა ადამიანს გათენებისას სალამს აძლევენ; ძაღლი მას გვერდიდამ არ შორდება; ადამიანის დანახვაზე ცხენი სიამოვნებისაგან ჭიხვინებს, კამეჩი და ხარი ხალისიანათ მუშაობენ. ყველა ცხოველმა კარგად იცის, რომ ადამიანი ჭკვიანია და იმათთვისაც შრომობსო.

## VI.

### მცენარეთა შექმნაგება.

რაკი ასე ძლიერად არის გავრცელებული ჩინეთში მეურნეობა და თვით მცხოვრებთა რიცხვიც საკმარისზე მეტია, თქმა არ უნდა, რომ იქ მიწა მეტად ძვირია და ამიტომ ჩინელთ კანონით არავის უფლება არა აქვს, რომ 7—8 დღიურზე მეტი მამული იქონიოს. თვითვე ულს ჩინელს გლენს ერთი დღიური ან უფრო ნაკლები სახნავი მიწა ძლიერს აქვს. ამ მცირე მიწას ჩინელი რამდენიმე ნაწილათა ჰყოფს და ყოველს ნაწილს უე-

ჰველად ხნავს და სთესავს. ჩინელს ერთი არშინი მიწაც-კი მუქთად არ რჩება. ვისაც მიწა ბარში აქვს, იგი ბრინჯს სთესავს და ჰურის მაგიერად ბრინჯს ხმარობს. ბრინჯი წელაწაღში ორს მოსავალს იძლევა. გაზაფხულის ნათესს მკათათვის დამდეგსა მკიან და მკათათვეში მეორედ დათესილს ღვინობისთვეში მკიან. ბრინჯის მეორედ მომკის შემდეგ ჩინელი იმავე მიწას ჰხნავს და ოთხ თანასწორ ნაწილათა ჰყოფს. ერთს ნაწილში სთესავს თალგამს, მეორეში ლობიოს, მესამეში რგავს კომბოსტოს და მეოთხეში ჭარხალ-ბოლოკას, რომელსაც იქ, საჭმელად და ზეთის გამოსახდელად ხმარობენ. ყველა ამათ თესლს ჩინელი ალბობს ნეხვის სიჩხინტეში (წვენში) და როცა თესლი გადიდდება სთესავს რიგზე; ხოლო ათი-თორმეტი დღის შემდეგ, როცა თესლი თავს ამოჰყოფს, დათესილ მცენარეთა რიგებს შუა ჩინელი სთესავს იონჯას. პირველში იონჯას თივად სთიბავენ და შემდეგ-კი მიწის გასანოყიერებლად შიგ ჩახნავენ, რომ ბალახი მიწაში დაღვას. იონჯის ნორჩი ყლორტებიდამ ჩინელი ქალები გემრიელს მწნილსაც აკეთებენ. სადაც მიწის მორწყვა შეუძლებელია, იქ ჩინელი სთესავს თამბაქოს, ბამბას და შაქრის ლერწამს. ბამბა შემოდის ოთხ თვეში, მაისიდამ ენკენისთვემდის. ჩინეთში თითონ ბამბას ჩინელები არა ჰყიდიან, რადგან ძლიერ იაფად ფასობს. საღამოობით თავისუფალს დროს, დედა-კაცები ბამბას თესლს აცლიან და ართავენ, კაცები-კი ქსოვენ.

შაქრის ლერწამისათვის განსაკუთრებული მოვლაა საჭირო. ჩვეულებრივი სასუქი შაქრის ლერწმისთვის გამოუსადეგია. მის სასუქად ხმარობენ ზღვის ბალახის ნაცარს.

ჩინელებმა კარგად არ იციან შაქრის კეთება და ამიტომ ბევრი ლერწამი უსარგებლოდ ეკარგებათ.

შაქრის ქარხანა ჩინეთში მეტად უხერხულია. ლერწმის გამოსაწურად ორი წისქვილის დიდი ქვაა, რომელსაც კამეჩებით აბრუნებენ. აქვე ბუხარში ქვაბია გამართული ლერწმის წვე-



შაქრის ლერწამი.

ნის მოსახარშად და გასაწურად. ბუხარს ჩალით ახურებენ. ეს არის მთელი შაქრის ქარხანა ჩინეთში და, თქმა არ უნდა, რომ ამ გვარი ქარხანა დიდს ვერაფერს ასარგებლებს პატრონს. ექვსი ფუთი ლერწამი-დამ თორმეტ გირვანქა შაქარს ძლივს აკეთებენ, თუმცა-კი ჩინური შაქარი ძლიერ ტკბილია.

ყველამ ვიცით, რომ ჩინეთი განთქმულია თვისი ჩაით. ჩაის მცენარეს ჯერ სანერგეში ე. ი. მცენარეთ სკოლაში ზრდიან და შემდეგ მინდვრად გადმორგავენ ხოლმე. მინდორში დარგული ჩაი სრულს მოსავალს

იძლევა მხოლოდ მეოთხე წელს; მერვე წელს-კი ყველა ეს ჯაგები ახლით უნდა შეიცვალოს. ჩაის, წელიწადში, ოთხჯერ ჰკრეფენ. პირველად ჰკრეფენ მაშინ, როცა კოკორი სიმწვანეში შედის. ეს ჩაი უპირველესი და უკეთესი ჩაია; იმას ეძახიან გოგონის ჩაის. როგორც ზევითა ვთქვით, ორი დღიური ჩაით გაშენებული მიწა, კოკრის ჩაისას 15 გირვანქაზე მეტს ვერ იძლევა. ჩაის მეორე მოსავალი ყველაზე ბევრია. პირველი მოკრეფილამ 20—25 დღის შემდეგ, ჩაის ჰკრეფენ მეორედ—დღიურზე 45—50 ფუთს. რამდენიმე დღის შემდეგ მესამედ ჰკრეფენ, დღიურზე 20—25 ფუთს და მეოთხეთ-კი—5—8 ფუთს. უკანასკნელად მოკრეფილი ჩაი დაბალი და იათ-ფასიანია.

ამ გვარად, ჩინელი მთელს წელიწადს შეუწყვეტელს შრომაშია. ზოგიერთი მცენარისათვის, განსაკუთრებით ბრინჯისათვის, ბევრი წყალია საჭირო. მდინარეებიდამ და ტბებიდამ არხებით გამოყვანილი წყლები ყველას შორის თანასწორად არის განაწილებული. ჩინეთში ერთი არხიდამ მეორე არხში წყლის გადაგდება ანუ ქურდულად სხვის არხის დაწყვეტა გასაგონა-




ყვავილებიანი  
ტოტი ჩაის ბუ-  
ჩქისა.


თაც არ გაგონილა; ეს ჩინელების დიდ პატიოს-  
ნებას ამტკიცებს.

სახელმწიფო ხარჯი ჩინეთში მხოლოდ მიწაზეა  
დაწესებული. უკეთუ ვინმე თავის მიწას შეუმუშა-  
ვებელსა სტოვებს, მას ხარჯი მაინც ერთმევა და  
თუ იგი მთლად უყურადღებოდ დააგდებს თავის  
მამულს, რაიცა ძლიერ იშვიათია, მაშინ მას მიწას  
ართმევენ და სხვას აძლევენ.

თუმცა ჩინელი მცირედი მამულით კმაყოფილ-  
დება, მაგრამ თვით ჩინელები ისე გამრავლებულ-  
ნი არიან, რომ მიწა ყველას არ ჰყოფნის. მიწის  
სიმცირე და სივიწროვეა მიზეზი, რომ სოფლის ხალ-  
ხი სამუდამოდ და საზრდოს მოსაპოვებლად ქალა-  
ქებს ეტანებიან. აუარებელი ხალხი ხშირად მთელს თავის სი-  
ცოცხლეს დიდი მდინარეების ნაპირებზე და ტივებზე ატარებს  
დროს, ე. ი. მეთევზაობენ და თევზით ვაჭრობენ. თევზის და-  
საჭერად, ჩვეულებრივ იარაღებს გარდა, ჩინეთში ხმარობენ ერთ  
ფრინველს, რომელსაც ჰქვია ღაბა, რადგანაც ნისკარტს ქვეშ  
ვევბართელა ღაბაბი აქვს. ღაბა ჩვენებურს ბატზე გაცილებით  
დილია.



ჩინელთ ცხოვრება ტივებზე.



ღ ა ბ ა.

თვითეულს მეთევზეს რამდენიმე ლაბა ჰყავს და სათევზაოდ გასვლამდე ფრინველს კარგად მოამშევენ ხოლმე; დამშეული ფრინველი საშინელის სისწრაფით ეცემა თევზს, იჭერს და პატრონს აწვდის ნავში. რომ ფრინველმა თევზი არ ჩაყლაპოს, კისერზე ჩაღის რგოლს უკეთებენ. რაკი ლაბა საკმაოდ ითევზავებს, პატრონი მხოლოდ მაშინ აძლევს მას საჭმელს. საშინლად გამრავლებულს ჩინეთის ხალხს, ქალაქები და მდინარის ნაპირებიც ვერაფერს შევლიან და ამიტომ უკანასკნელს დროს ჩინეთიდან მრავალი ხალხი მიდის სხვა ქვეყნებში. ჩინელი მომეტებულად ამერიკაში და ავსტრალიაში მიდის. მაგრამ ჩინელს თავისი სამშობლო ისე ძლიერად უყვარს, რომ მხოლოდ უკანასკნელი უკიდურესი ყოფა-გაჭირებაა საჭირო, რომ მან სამშობლო დასტოვოს. უცხო ქვეყანაში ჩინელი თავ აუღლებლივ დღე და ღამ გამგელებული მუშაობს, რომ რა არის მალე იშოვოს ცხოვრებისათვის საჭირო სახსარი და სამშობლოში დაბრუნდეს. სიცოცხლით თუ ვერ ეღირსა ჩინელს სამშობლოში დაბრუნება, სიკვდილის დროს ანდერძს სტოვებს, რომ მკვდარი წაიღონ სამშობლოში და მშობელს მიწას მიაბარონ.

## VII.

### ჩინეთის სამსჯავრო და მხედრობა.

თქმა არ უნდა, რომ ჩინელები ბევრში ძლიერ ჩამორჩენილები არიან! მაგალითად, იმათ აქვთ მთავრობის-მიერ დაწესებული სასამართლოები, რომლებიც მეტად სასტიკად სჯიან დამნაშავეთ. მაგრამ, მომეტებული წილი საქმეებისა, ჩინეთში საო-

ჯახო სასამართლოში ირჩევა. რა კანონებით ხელმძღვანელობს ოჯახობრივი სასამართლო, რა საფუძველი აქვს? რათა აქვს მის განაჩენს ძალა და რათ ემორჩილებიან ჩინელები მას?

ოჯახის უფროსისათვის კანონი იგია, რომელიც თვითეული კაცის გულშია და ემორჩილებიან ოჯახობრივს სამართალს, რადგან თავის დანაშაულს გრძნობენ. მთავრობის-მიერ დაწესებული სასამართლო მოისმენს-რა საქმეს, ათასგვარად სჭრის, ჰკერავს, ლეჭავს და ისე ადგენს განაჩენს. ოჯახობრივი სასამართლო-კი უპირველესად დამნაშავეს უხსნის და უმტკიცებს, თუ მან რა ჩაიდინა და რათ არ უნდა ჩაედინა. დამნაშავე განაჩენის სიმართლეზე ნათლად რწმუნდება და სრულიად აღარა ხდება საჭირო დამნაშავეს წინააღმდეგ რაიმე სასტიკი საშუალების ხმარება. ოჯახობრივი სასამართლო დამნაშავეს რამდენჯერმე აპატივებს და მხოლოდ შემდეგ მიუსაჯავს სასჯელს.

სხვა ქვეყნებში სასამართლოები დამნაშავეს მაშინვე აშორებენ საზოგადოებას, ე. ი. ატუსაღებენ და ამით ხშირად უბრალო დამნაშავე უარესად ქეზდება ცუდ საქმეზედ. ჩინეთში-კი ეს იშვიათად ხდება, რადგანაც ოჯახობრივი სასამართლო ბევრსა ცდილობს, რომ დამნაშავე სინანულში ჩააგდოს და გაასწოროს, და თვისი რჩევა-დარიგებით გზა-დაბნეული ოჯახის წევრი მორჯულებული დაუბრუნოს ოჯახს.

ჩინელთა მხედრობაზე ბევრი არა ითქმის რა. ან რა მხედრობა იქნება იმ ქვეყანაში, სადაც ხალხს სიტყვათ-კი არა, საქმით სწამს ძმობა და სცდილობს კიდევ საკუთარის სიმშვიდესისპეტაკით მთელი ხალხის სიმშვიდე-სიკეთეს. ჩინელები ომს საზიზღარ დანაშაულობად სთვლიან და მისი გაგონება-კი ეჯავრებათ. თუმცა ჩინელები ჯერ ისე არ არიან განვითარებულნი, რომ გულ-გრილად უცქირონ თავის სამშობლოში უცხოელთა შემოსევას, მაინც ძნელად იქნება, რომ ჩინელმა

ომი გამოუცხადოს ვისმეს. მხედრობა ჩინეთს მხოლოდ თავის დასაცველადა ჰყავს.

მხედრობა და სამხედრო ღირსება ჩინეთში, როგორც ეს სხვა ხალხშია, პატივ-საცემი სახელი არ არის. ღარიბ ჩინელ-საც-კი უკანასკნელ საქმედ მიაჩნია სამხედრო სამსახურში შეს-ვლა.

არა ერთხელ და ორჯელ დაუპყრიათ ჩინეთი სხვა და სხვა ხალხებს, მაგრამ ჩინელებს დღემდის თავიანთი ჩვეულება და ცხოვრებითი წეს-რიგი შეურყეველად დაუცვამთ. უფრო მეტს ვიტყვით: ჩინელებმა დაიმორჩილეს გამარჯვებულნი იმით, რომ შემოსეულები ცოტ-ცოტათი ჩინელებად აქციეს, ე. ი. თავიანთი ენა და ხასიათი მიაღებინეს მათ.

ჩინელებს აქვთ თვით აუარებელს მხედრობაზე მეტი გან-საკუთრებული ძალა, ძალა, რომელსაც ვერავითარი მხედრობა ვერ შეჰმუსრავს: ეს ძალა აწის ჩინელების სიმამრთაგან დაფუძ-ნებული ცხოვრება, რომელიც ოცი და ოცდაათი საუკუნეა, რაც თან და თან უკეთესდება იმით, რომ თვითეული ჩინელი თავის თავს აუკეთესებს.

დასასრული.

---

ფასი 20 კაპ.

ივანე როსტომაშვილის გამოსემანი 1896 წელს.

1896 წლის განმავლობაში გამოცემა 18 ახალი ქართული წიგნი და 1 ალბომი— „**ქართველთა ტომი**“ (картвельское племя) ასევე მეტი სურათით და მოკლე აღწერით. მეთერთმეტე და მეთორმეტე წიგნები— „**ცხენის წუკბელა**“ კ. ხევის-უბნელისა და „**მაჰმადი**“ სურათებით დ. ზარაფი-შვილისა გამოცემა მაისში.

ფასი მთელი გამოცემისა—4 მანეთი, რომელიც შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანოს ხელის-მომწერელმა: პირველი ორი მანეთი ხელის-მომწერის დროს, ხოლო დანარჩენი— **მაისის პირველამდე**. ალბომი ვაგეზავენება მხოლოდ წლიურს ხელის-მომწერლებს.

## ვსთხოვთ

ჩვენ აზენბებს და ხელის-მომწერლებს დანარჩენი ფულიც გამოგვიგზავნონ.

ჩვენი აღრესი: Тифлисъ, Давид. пл., № 6, Ивану Павловичу Ростомову.

სხვათა შორის დაიბეჭდება თხზ. მ. კოვალევსკისა „**ოჯახისა და საკუთრების წარმოდგომა და განვითარება**“ თარგმანი რ. კალაძისა.